



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/167-15

22 დეკემბერი, 2015 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები - ნატალია ნაზლაიძე, გოდერძი გიორგიშვილი

სხდომის მდივანი - თინათინ კაპანაძე

აპელანტი – თ. ლ.

წარმომადგენელი - დ. ლ.

მოწინააღმდეგე მხარე - დ. მ.

ვახტანგ ნაყოფია - ე. გ.

დავის საგანი - თანხის დაკისრება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება

1. აპელანტის მოთხოვნა – გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

სასარჩელო მოთხოვნა:

ამხანაგობა „ქ.-ს“ დამფუძნებლებს: თ. ლ.-ს, ა. ო.-ს, შ. გ.-ს და მ. ა.-ს დ. მ.-ს სასარგებლოდ დაეკისროთ 15500 აშშ დოლარის გადახდა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი



დ. მ.-ს სარჩელი დაკმაყოფილდა. ამხანაგობა „ქ.-ს“ დამფუძნებლებს: თ. ლ.-ს, ა. ო.-ს, შ. გ.-სა და მ. ა.-ს დ. მ.-ს სასარგებლოდ 15500 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა.

**დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით
უდავო ფაქტობრივი გარემოებები:**

2.1. 2007 წლის 11 სექტემბერს, ბ. ჯ.-ს, ა. ო.-ს, მ. ა.-სა და თ. ლ.-ს შორის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება დაიდო.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2007 წლის 11 სექტემბრის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება (ს.ფ. 15-22);

2.2. ბ. ჯ., ა. ო., მ. ა. და თ. ლ. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს წარმოადგენენ.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2007 წლის 11 სექტემბრის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება (ს.ფ.18);

2.3. 2007 წლის 22 ნოემბერს, ერთი მხრივ, ბ. ჯ.-სა და, მეორე მხრივ, შ. გ.-ს შორის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო, რომლის მიხედვითაც, ბ. ჯ.-მ შ. გ.-ზე გაასხვისა მისი კუთვნილი წილი ამხანაგობაში.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2007 წლის 22 ნოემბრის წილის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება (ს.ფ.29-31);

2.4. 2007 წლის 17 დეკემბერს, ერთი მხრივ, ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ქ.-სა“ და, მეორე მხრივ, დ. მ.-ს შორის უფლების გადაცემისა და ფართის გამოყოფის შესახებ #4 ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც, ამხანაგობამ იკისრა ვალდებულება მოსარჩელისათვის, 2010 წლის 1 იანვრამდე, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ბ.-ს ქ.#XX-ში ასაშენებელ მრავალსართულიან სახლში მე-5 სართულზე 91 კვ.მ საცხოვრებელი ბინა.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2007 წლის 17 დეკემბრის უფლების გადაცემისა და ფართის გამოყოფის შესახებ #4 ხელშეკრულება (ს.ფ.32-34);

2.5. დ. მ.-მ ამხანაგობა „ქ.-ს“ ანგარიშზე 2007 წლის 17 დეკემბერს - 500 აშშ დოლარი, 2007 წლის 31 დეკემბერს - 10000 აშშ დოლარი, 2008 წლის 7 თებერვალს - 3000 აშშ დოლარი, ხოლო 2008 წლის 4 აპრილს - 2000 აშშ დოლარი, ჯამში, 15500 აშშ დოლარი ჩაურიცხა.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2007 წლის 17 დეკემბრის სალაროს შემოსავლის ორდერი, 2007 წლის 31 დეკემბრის სალაროს შემოსავლის ორდერი, 2008 წლის 7 თებერვლის სალაროს შემოსავლის ორდერი და 2008 წლის 4 მარტის სალაროს შემოსავლის ორდერი (ს.ფ.35-38);

2.6. 2012 წლის 6 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის განაჩენით ა. ო. ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებებში.



სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2012 წლის 6 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის განაჩენი (ს.ფ. 39-64);

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.7. სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მხარეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულიად ითვლება თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. აღნიშნული ნორმის ანალიზით ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებს - კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობაა, შესაბამისად, მოთხოვნაზე უფლებამოსილი და შესრულებაზე ვალდებული, სწორედ, ეს პირები არიან. იგივე დანაწესია ნარდობის ხელშეკრულების მარეგულირებელ ნორმებშიც (სამოქალაქო კოდექსის 629-656-ე მუხლები), რომლითაც ამ ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი სწორედ ამ მხარეებს - მენარდესა და შემკვეთს გააჩნიათ.

ნარდობის ხელშეკრულება დადებულიად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მხარეები მის ყველა არსებით პირობებზე შეთანხმდებიან კანონით გათვალისწინებული ფორმით. ნარდობის ხელშეკრულებით მენარდის ძირითადი ვალდებულებაა, შეასრულოს მისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური (სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვა. 2007 წლის 17 დეკემბერს, ერთი მხრივ, ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ქ.-სა“ და, მეორე მხრივ, დ. მ.-ს შორის უფლების გადაცემისა და ფართის გამოყოფის შესახებ #4 ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც, ამხანაგობამ იკისრა ვალდებულება მოსარჩელისათვის 2010 წლის 1 იანვრამდე საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ბ.-ს ქ.#XX-ში ასაშენებელ მრავალსართულიან სახლში მე-5 სართულზე 91 კვ.მ საცხოვრებელი ბინა.

სასამართლომ განმარტა, რომ მოწინააღმდეგე მხარეებმა სადავო გახადეს მოთხოვნის წარდგენის როგორც ხელშეკრულებით ისე კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა. შესაბამისად, როდესაც საუბარია ხანდაზმულ მოთხოვნაზე სასამართლოს ვალდებულებაა გამიჯნოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი ვალდებულება და დაადგინოს მოსარჩელის მოთხოვნა ძირითადი ვალდებულების შესრულება თუ მისგან ნაწარმოები (მაგალითად, ხელშეკრულებიდან გასვლა).



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ წინამდებარე გადაწყვეტილებით, მსჯელობის საგანს წარმოადგენს, არის თუ არა ხანდაზმული დ. მ.-ს სასარჩელო მოთხოვნა და ექვემდებარება თუ არა მის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას.

სასამართლომ მიუთითა, რომ 2007 წლის 17 დეკემბრის უფლების გადაცემისა და ფართის გამოყოფის შესახებ #4 ხელშეკრულების 4.1. პუნქტით ირკვევა, რომ ამხანაგობის მიერ საკუთარი სუბიექტური მიზეზებით მშენებლობის შეწყვეტის ან 9 თვეზე მეტი ვადით უმიზეზოდ შეჩერების შემთხვევაში ამხანაგობა კისრულობს ვალდებულებას დაუბრუნოს ამხანაგობის წევრს მის მიერ ფაქტობრივად გადახდილი თანხა 12 თვის განმავლობაში.

მოპასუხეს მიაჩნია, რომ ხელშეკრულების დასახელებული პუნქტით მხარეს პრეტენზიის წაყენების უფლება არ გააჩნია, ვინაიდან, გასულია ხანდაზმულობის ვადა. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის აღნიშნული მოსაზრება და მიიჩნია, რომ ხელშეკრულების 4.1. პუნქტის გამოყენების წინაპირობაა ის ფაქტი, რომ სს „ქ-ს“ მიერ მშენებლობა უნდა იყოს დაწყებული და სწორედ დაწყებული მშენებლობის შეჩერება ან შეწყვეტა უნდა განხორციელდეს მოპასუხის მიერ, რა დროსაც ამხანაგობას ეკისრება გადახდილი თანხის 12 თვის ვადაში დაბრუნების ვალდებულება. სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან, მშენებლობა არ დაწყებულა, შესაბამისად, მისი შეწყვეტის ან შეჩერების ვადა, რომლიდანაც უნდა დაიწყოს 12 თვიანი ვადის ათვლა, ვერ დადგინდება.

სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.

„ხანდაზმულობა“ სამოქალაქო სამართალში გამოხატავს რომელიმე ურთიერთობას, მდგომარეობას, რომელიც არსებობდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა განსაზღვრული დროით გავლენას ახდენს პირთა უფლებებსა და ვალდებულებებზე. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი ვითარდება იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ დღიდან, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დინება იწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებების მიხედვით უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, ვალდებული პირი უფლებამოსილია, უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

ზემოდასახელებული ხელშეკრულებით ამხანაგობამ ვალდებულება აიღო არაუგვიანეს 2010 წლის 1 იანვრისა გადაეცა საცხოვრებელი ბინა დ. მ.-სათვის. შესაბამისად, სასამართლომ, ერთი მხრივ, გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ დ. მ.-ს უფლება ჰქონდა ვალდებულების შესრულების იძულებითი განხორციელების მოთხოვნით სასამართლოსათვის 2013 წლის პირველ იანვრამდე მიემართა, მაგრამ წარდგენილ სარჩელს ხანდაზმულად არ მიიჩნევს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის ანალიზით დგინდება, რომ ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე. ვალდებულება, რომელიც უნდა



შესრულდეს მხარეთა შორის ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. მოცემულ შემთხვევაში, ძირითად ვალდებულებას დ. მ.-სათვის, როგორც კრედიტორისათვის, საცხოვრებელი სახლის გადაცემის მოთხოვნა, ხოლო ერთობლივი საქმიანობა "ქ.-სათვის" დ. მ.-სათვის შეთანხმებული საზღაურის დაკისრების მოთხოვნა წარმოადგენს.

სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეა დ. მ., გამოსაკვლევია რაში მდგომარეობს მისი მოთხოვნა ძირითადი ანუ პირველადი ვალდებულების შესრულებაში, რაც როგორც აღინიშნა საცხოვრებელი სახლის გადაცემაა თუ, სახეზეა, მეორადი ვალდებულება ხელშეკრულებიდან გასვლა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. სასამართლომ წარმოდგენილი სარჩელის საფუძველზე მიიჩნია, რომ სახეზეა, სასარჩელო მოთხოვნა, ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ.

სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება).

სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის, სამართლებრივ შედეგებს არეგულირებს სამოქალაქო კოდექსის 352-ე, ხოლო წინაპირობებს 405-ე მუხლები. თუ ვერ ხერხდება კრედიტორის პირველადი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოვალის მიერ (ვალდებულების შესრულება), მის ადგილს მეორადი მოთხოვნა იკავებს. პირველადი ვალდებულებებისაგან მეორადი ვალდებულებანი უნდა განვასხვავოთ. ეს უკანასკნელი უშუალოდ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან არ გამომდინარეობს. მეორადი ვალდებულება პირველადი ვალდებულებების (ქმედების განხორციელების) დარღვევის შედეგად წარმოიშობა და იკავებს ან მათ ადგილს, ანდა მათთან ერთად არსებობს.

ხელშეკრულებიდან გასვლა აღმჭურველი უფლებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას მხარეს აქვს შესაძლებლობა, მიაღწიოს გარკვეულ სამართლებრივ შედეგს – დაასრულოს სახელშეკრულებო ურთიერთობა კონკრეტული უფლებებითა და მოვალეობებით და განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში გადაიყვანოს იგი. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებაზე, განსხვავებით მოთხოვნის უფლებებისაგან, არ ვრცელდება ხანდაზმულობა. ხელშეკრულებიდან გასვლის დამახასიათებელი ნიშანი მხარეთა შორის ორმხრივი რესტიტუციის განხორციელებაა, რესტიტუცია კი, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას გულისხმობს, რა დროსაც მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის გადაცემული ქონების უკუქცევა ხდება. საგულისხმოა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ერთობლივი, განუყოფელი და მყისიერი ქმედებაა, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებაზე არ



ვრცელდება ხანდაზმულობა, არც მისი თანმდევი შედეგი (ნატურით დაბრუნება) ექვემდებარება ხანდაზმულობას.

ამის შემდგომ, სანამ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაზე იქნება მსჯელობა, უნდა დადგინდეს სახეზეა, თუ არა, ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება: ნამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების არსებობა; ხელშეკრულების დარღვევა (მნიშვნელოვანი დარღვევა); დამატებითი ვადის დაწესება (გაფრთხილება); ამ ვადის უშედეგოდ ამოწურვა.

ე.ი. თავდაპირველად უნდა დადგინდეს არსებობს, თუ არა, ნამდვილი ორმხრივი ხელშეკრულება და მოქმედებს, თუ არა, ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობა ხელშეკრულების ძალაზე? აღნიშნულ კითხვებზე პასუხი უარყოფითია, ვინაიდან, ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმული მოთხოვნა სარჩელის (რომლითაც მოთხოვნილია ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება) დაკმაყოფილების პერსპექტივას გამორიცხავს, მაგრამ ხელშეკრულებას ძალადაკარგულად ვერ აქცევს.

ამასთან, სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ 2007 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ამხანაგობა „ქ.-მ“ 2010 წლის 1 იანვრამდე საცხოვრებელი სახლის გადაცემის ვალდებულება დღემდე არ შეასრულა და დასახელებული ფაქტი ცალსახად ადასტურებს მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევას. სასამართლოს განმარტებით, დროის მონაკვეთი, რაც გასულია ხელშეკრულების დადებიდან სარჩელის შემოტანამდე და ვალდებულების დარღვევის ხასიათი, აძლევს სასამართლოს დასკვნის საფუძველს, რომ, დამატებითი ვადის დაწესება არ არის აუცილებელი, ვინაიდან, აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ მოჰყვება (სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).

სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის არსებული და სასამართლოს მიერ შესაფასებელი ურთიერთობა უსაფუძვლო გამდიდრების ნიშნებსაც შეიცავს, შესაბამისად, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია იმსჯელოს უსაფუძვლო გამდიდრებისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე და აღნიშნული გზით გამორიცხოს მისი არსებობა, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია უსაფუძვლო გამდიდრების ძირითადი შემთხვევა და მოიცავს ე.წ. შესრულების კონდიციის შემთხვევებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს სამ მაგალითზე: ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, გარიგება არ შედგა და გარიგება მოგვიანებით უქმდება.

ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სამივე შემთხვევას ერთი რამ აქვს საერთო-სავარაუდო კრედიტორის მიმართ უნდა არსებობდეს შესრულება, რომელიც განპირობებული იყო არსებული ვალდებულებით. „შესრულება“ არის შეგნებულად და მიზანმიმართულად განხორციელებული მოქმედება, რომელიც იწვევს შესრულების მიმღების „ვითომ კრედიტორის“ მიერ ქონებრივი შეღავათის მიღებას (გამდიდრებას).

უსაფუძვლო გამდიდრება სუბსიდური ხასიათისაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეთა შორის არ უნდა არსებობდეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი. გარდა ამისა, მითითებული საფუძველით პირის მოთხოვნის



დაკმაყოფილებისათვის სახეზე უნდა იყოს გარკვეული კუმულაციური წინაპირობები, კერძოდ: 1. ვითომ-კრედიტორი უნდა გამდიდრდეს; 2. ვითომ-კრედიტორის გამდიდრება უნდა გამოიწვიოს ვალდებულების შემსრულებლის ქმედებამ. 3. ვითომ-კრედიტორის გამდიდრება, როგორც შედეგი, უნდა იყოს უკანონო, ანუ მას არ უნდა ჰქონდეს კანონისმიერი შესაძლებლობა, კომპენსაციის გარეშე მიითვისოს აღნიშნული ქონება. რომელიმე ამ პირობის არარსებობა გამორიცხავს უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი მიზანია, იმ ნამატის ამოღება, რომელიც ვითომ-კრედიტორმა მიიღო ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ამ ორი ინსტიტუტისა არის ის, რომ უსაფუძვლო გამდიდრების დროს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას ხელშეკრულების ბათილობა იწვევს. განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულება ძალაშია და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნას მისი ბათილობა არ იწვევს. შესაბამისად, სახეზეა ხელშეკრულებიდან გასვლის გამო პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება.

2.8. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია შ. გ.-ს მოსაზრება, რომ იგი ამხანაგობის დამფუძნებელ წევრს არ წარმოადგენს და მას არ ეკისრება დ. მ.-სათვის თანხის გადახდის ვალდებულება.

სასამართლოს მოსაზრებით, 2007 წლის 11 სექტემბრის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულებით ირკვევა, რომ ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს ბ. ჯ., ა. ო., მ. ა. და თ. ლ. წარმოადგენენ. 2007 წლის 22 ნოემბრის წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით ბ. ჯ.-მ გაყიდა, ხოლო შ. გ.-მ იყიდა გამყიდველის კუთვნილი წილი ამხანაგობაში. აღნიშნულის შემდგომ, კერძოდ, 2007 წლის 17 დეკემბერს, დ. მ.-სა და ამხანაგობას შორის საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შესახებ ხელშეკრულება დაიდო. შესაბამისად, სოლიდარულ მოვალეებს სწორედ ა. ო., მ. ა., თ. ლ. და შ. გ. წარმოადგენენ.

სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის მიხედვით, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად.

სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის თანახმად, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.

სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

ზემოდასახელებული მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ ამხანაგობის წევრთა პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე სოლიდარულია და აღნიშნულ



პასუხისმგებლობაზე გავლენას ვერ მოახდენს, ვალდებულების შეუსრულებლობა განპირობებულია ერთი, თუ ყველა მათგანის ბრალეული ქმედებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დ. მ.-ს მოთხოვნა გადახდილი თანხის უკან დაბრუნების თაობაზე, საფუძვლიანია და ვინაიდან, სახეზეა სოლიდარული ვალდებულება, 15500 აშშ დოლარის გადახდა ამხანაგობა „ქ.-ს“ დამფუძნებელ წევრებს სოლიდარულად უნდა დაეკისროს.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები

3.1. აპელანტის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მთავარი უზუსტობა მდგომარეობს ტერმინების აღრევაში. სასამართლო იყენებს ტერმინს „დააფუძნეს“, „დამფუძნებლები“, რაც არასწორია. მოპასუხეებს არ დაუფუძნებიათ ამხანაგობა „ქ.“. საქმე გვაქვს არა რაიმეს დაფუძნებასთან, სადაც დამფუძნებლები გამოდიან როგორც მეწარმე სუბიექტის მეწილეები (რომლებიც სოლიდარულად აგებენ პასუხს სხვა პირებთან), არამედ სახეზეა, მეწარმე სუბიექტის ჩამოყალიბების გარეშე, ფიზიკური პირების მიერ ერთობლივი საქმიანობისათვის შექმნილი ამხანაგობა, რომლის მიზანია არა „მოგების მიღება“, არამედ „გარკვეული მიზნის მიღწევა“.

3.2. სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელების სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დოკუმენტი, კერძოდ, ხელშეკრულება, რომელიც სასამართლომ ნარდობად დააკვალიფიცირა, არის „ამხანაგობაში ფულადი შენატანის სანაცვლოდ უფლებების გადაცემის და საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შესახებ“ ხელშეკრულება. სასამართლომ შეგნებულად არ ცნო ფაქტობრივ გარემოებად „უფლებების გადაცემა“, რაც სათაურშიც და ხელშეკრულების ტექსტშიც არსებითი და მთავარი გარემოებაა.

3.3. სასამართლომ, შესაბამისი მტკიცებულებების გარეშე, დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოპასუხეებს მოგების მიღების მიზანი გააჩნდათ.

3.4. არ არსებობს დამფუძნებელი წევრების მიერ ჩატარებული საერთო კრება, სადაც მოსარჩელეთა წევრად მიღების საკითხი და მათ მიერ თანხის შემოტანის და შესაბამისად, წილობრივი საკუთრების იდენტიფიკაცია მოხდებოდა.

3.5. სასამართლომ არასათანადო შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ განაჩენს, რომლითაც თაღლითური გზით მოსარჩელეთა თანხების მითვისებაში ა. ო.-ს ბრალეულობა დადგენილი.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.



სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება

სააპელაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

4.1. **თ. ლ. ამხანაგობა „ქ.-ს“** ისეთივე წევრია, როგორც **დ. მ.**, შესაბამისად, **თ. ლ.-სა** და **ამხანაგობა „ქ.-ს“** შორის ურთიერთობა ამხანაგობის მარეგულირებელი ნორმებით წესრიგდება და არა ნარდობის მომწესრიგებელი ნორმებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ ვითარებაში, ამხანაგობიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებს ამხანაგობის წევრებს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა არეგულირებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის შესაბამისად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად.

პალატა **თ. ლ.-სა** და **ამხანაგობა „ქ.-ს“** სამართალურთიერთობის მოწესრიგების მიზნებისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს 2007 წლის 17 დეკემბრის N4 ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვითაც, მოქალაქე **თ. ლ.-მ** გამოთქვა ამხანაგობის წევრობის ინტერესი, შესაბამისად, მითითებული ხელშეკრულების საგანია მოქალაქისათვის **ამხანაგობის წევრობის უფლებისა** და ამხანაგობის მიერ მრავალსართულიან სახლში მე-5 სართულზე 91 კვ.მ. საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემა (*ხელშეკრულების 1.1. პუნქტი*). ამავე ხელშეკრულებით დადგენილია ამხანაგობის წევრის **ამხანაგობაში განსახორციელებელი შენატანის ოდენობა**, კერძოდ, მისაღები ფართის ღირებულება, 1 კვ.მ. სათვის 480 აშშ დოლარი (*ხელშეკრულების 1.2.*). მითითებული ხელშეკრულების მიხედვით, ამხანაგობა ვალდებულია **ამხანაგობის წევრს, მოცემულ შემთხვევაში, დ. მ.-ს**, გადასცეს ამხანაგობის წევრობა და მისგან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები (*ხელშეკრულების 2.1 პუნქტი*). თავის მხრივ, კი ამხანაგობის წევრი ვალდებულია, **ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით**, შეიტანოს ამხანაგობაში 43 680 აშშ დოლარი (*ხელშეკრულების 3.1 პუნქტი*). ამხანაგობის წევრს, გარდა შენატანის შეტანის ვალდებულებისა, არ გააჩნია საკუთარი წილის თავისუფალი განკარგვის უფლება. ამხანაგობის წევრს წილის განკარგვის ნამდვილობისათვის თავმჯდომარის წერილობითი თანხმობა ესაჭიროება (*ხელშეკრულების 2.7. და 4.3. პუნქტები*).

ამდენად, პალატა მხარეთა თავისუფალი ნების გამოხატვის შედეგად დადებული გარიგების დებულებათა შესაბამისად, დადგენილად მიიჩნევს, რომ **დ. მ. ამხანაგობა „ქ.-ს“ წევრია**. ამასთან, პალატა აქვე განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამხანაგობის ე.წ. „**დამფუძნებელ**“ და „**ჩვეულებრივ**“ წევრებს ერთმანეთისაგან არ განასხვავებს. ამხანაგობის მარეგულირებელი ნორმები ამხანაგობის წევრებისათვის ერთიან მოწესრიგებას აწესებს. მით უფრო, მაშინ, როდესაც ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეები ცალსახად და არაერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან საერთო მიზნის მისაღწევად ერთობლივ მოქმედებაზე, ასევე ყველა იმ თავისებურებაზე, რომელიც, სწორედ, რომ



ამხანაგობის ხელშეკრულებისათვისაა სახასიათო, როგორცაა მაგალითად, წილის შეძენა, შენატანის განხორციელების ვალდებულება, წილის თავისუფალი განკარგვის შეზღუდვა და. ა. შ. ამდენად, პალატის შემადგენლობის წევრთა უმრავლესობა, ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ სახეზეა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება (ამხანაგობა). თ. ლ. კი, ისევე როგორც დ. მ., აღნიშნული ამხანაგობის წევრები არიან, იმ განსხვავებით, რომ დ. მ., როგორც ამხანაგობის ერთ-ერთი დამფუძნებელი, გამგეობის წევრია, ხოლო თ. ლ., ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრია, რომელიც ამხანაგობის საერთო კრების მუშაობაში იღებს მონაწილეობას.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა ამხანაგობის წევრის ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გასვლა, რაც, რაღა თქმა უნდა, დასაშვებია ერთობლივი საქმიანობის შესახებ 2007 წლის 11 სექტემბრის ხელშეკრულების მე-11 მუხლიდან და ამხანაგობა „ქ.-ში“ ფულადი შენატანის განხორციელების სანაცვლოდ უფლებების გადაცემისა და საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შესახებ 2007 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულების 4.4 პუნქტიდან გამომდინარე. ამასთან, პალატა ადგენს, რომ მოცემულ შემთხვევაში, დ. მ.-ს ამხანაგობაში შეძენილი წილის შესაბამისი ფართი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ გადასცემია, რითაც დ. მ.-ს უფლება არსებითად დაირღვა. საქმის მასალებით არ დასტურდება ვალდებულების დროულად შესრულების პერსპექტივა, შესაბამისად, არ არსებობს ამხანაგობისათვის ვალდებულების შესასრულებლად დამატებითი ვადის დაწესების აუცილებლობა. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ დ. მ.-ს უფლება, ამხანაგობიდან გასვლის თაობაზე, საფუძვლიანია. მოცემულ შემთხვევაში, პალატის შემადგენლობის წევრთა უმრავლესობა, არ იზიარებს დ. მ.-ს მიერ ამხანაგობაში განხორციელებული შენატანის ამხანაგობის წევრებისათვის, მოცემულ შემთხვევაში, თ. ლ.-სათვის, სოლიდარულად დაკისრებას შემდეგ გარემოებათა გამო:

(ა) საგულისხმოა, რომ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა არ არის კორპორაციულად ორგანიზებული პერსონალურად პასუხისმგებელი საზოგადოება (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება). სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა წარმოადგენს საერთო თანაზიარ საკუთრებას. თუმცა, ეს უკანასკნელი საერთო თანასაკუთრების რეჟიმისაგან თავისი უფლებაუნარიანობით განსხვავდება¹. სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა, როგორც წესი, ისეთი ამხანაგობაა, რომელიც მიმართულია მესამე პირებთან ურთიერთობების დამყარებისაკენ, შესაბამისად, იგი სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობს თავისი წარმომადგენლის მეშვეობით. ამხანაგობა, რომელიც მიმართულია მესამე პირებთან ურთიერთობების დამყარებისაკენ, უფლებაუნარიანია, რამდენადაც იგი სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის მიღების შედეგად თავად იძენს უფლებებს და კისრულობს ვალდებულებებს². გარდა ამისა, ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ამხანაგობას აქვს თავისი საკუთრება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შესატანები წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას. მონაწილეთა საერთო საკუთრებას შეადგენს ისიც, რაც შეძენილია საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე, ანდა მიღებულია ანაზღაურების სახით საერთო ქონების განადგურების, დაზიანების ან ამოღების გამო. თუმცა, როგორც წესი, ამხანაგობაში განხორციელებული შენატანი, ამხანაგობის წევრთა თანასაკუთრებად კი არ რეგისტრირდება, არამედ უშუალოდ ამხანაგობის სახელზე აღირიცხება და ამხანაგობის სახელზე გახსნილ ანგარიშზე იდება. საგულისხმოა ის

¹ ი.კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, &705, ველი: 2, გვ.548, თბილისი, 2014

² BGHZ, 146, 341 = NJW, 2001, 1056, 993, იხ. ი.კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, &705, ველი: 5, გვ.548, თბილისი, 2014



გარემოება, რომ ამხანაგობას საგადასახადო მიზნებისათვის საიდენტიფიკაციო კოდი ენიჭება. ამდენად, ამხანაგობა ის დამოუკიდებელი, არაკორპორაციულად მოწყობილი, პირთა ერთობაა, რომელიც გარიგებებში, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, ისე შედის. გარიგების დადების შედეგად, ამხანაგობა უფლება-მოვალეობებს იძენს. ამავე გარიგებების საფუძველზე მის სახელზე ქონება ირიცხება. შესაბამისად, ამხანაგობა, რომელიც, როგორც დამოუკიდებელი სამართალსუბიექტი, გარიგებას დებს და აღნიშნული გარიგების საფუძველზე უფლება-მოვალეობებს იძენს, ამავე გარიგებიდან გამომდინარე დავის მონაწილე პირსაც წარმოადგენს. რაც შეეხება ამხანაგობის პროცესუალურ სამართლებრივ სტატუსს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარეებად შეიძლება იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები.

პალატა ასევე განმარტავს, რომ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება იდება ორი ან რამდენიმე პირის მიერ საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად. ამხანაგობის მიზანი შეიძლება იყოს იდეალური ან მატერიალური, მაგრამ, **არამცდაარამც სამეწარმეო**. სამეწარმეო მიზნის არსებობის პირობებში ორი ან მეტი პირი ამხანაგობის მსგავს პერსონალური ტიპის კორპორაციულ საზოგადოებას აარსებს, მაგალითად, როგორიცაა, სპს, კს. ამდენად, თუ საერთო მიზანი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაა, მაშინ სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის ფორმის გამოყენება დაუშვებელია. შესაბამისად, ამხანაგობის ყველა წევრის, მათ შორის, ამხანაგობის ხელშეკრულებით დიფერენცირებული ამხანაგობის „დამფუძნებელი“ და „ჩვეულებრივი“ წევრების საქმიანობის ფორმა არის ერთობლივი. მიზანი საერთო სამეურნეო ან სხვა, თუმცა, არა სამეწარმეო. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, თ. ლ.-სა და დ. მ.-ს მშენებლობის დასრულებასთან დაკავშირებული ერთობლივი მიზანი გააჩნდათ, დაკავშირებული მშენებლობის დასრულებასთან.

ამხანაგობის წევრები პასუხს აგებენ, პირველ რიგში, ამხანაგობის საერთო ქონებით. მითითებული დასკვნა იმ სამართლებრივი რეგულირების შედეგია, რომლითაც ყველა შენატანი ამხანაგობის წევრთა (ამხანაგობის) საერთო საკუთრება ხდება. ამხანაგობის საერთო საკუთრება, გარდა იმისა, რომ ერთობლივი მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს, იგი ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების გარანტიასაც წარმოადგენს. რაღა თქმა უნდა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ამხანაგობის წევრები ამხანაგობის ვალდებულებებისათვის საკუთარი ქონებით არ არიან პასუხისმგებელნი, თუმცა, ამხანაგობის წევრთა პასუხისმგებლობა დამატებით (სუბსიდურ) ხასიათს ატარებს და მხოლოდ მაშინ გამოიყენება, თუ ამხანაგობის ქონება ამხანაგობის მიერ ნაკისრ ვალდებულების დაფარვას ვერ უზრუნველყოფს³.

განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გასვლის კონტექსტში, სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დ. მ. კი არ წყვეტს ამხანაგობასთან სახელშეკრულებო ურთიერთობას, არამედ გადის ხელშეკრულებიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ითხოვს განხორციელებული შესრულების უკუქცევას. განხორციელებული შესრულება კი ამხანაგობის საერთო საკუთრებას წარმოადგენს. შესაბამისად, ამხანაგობიდან გასვლით ამხანაგობის ქონებას უნდა უზრუნველყოფდეს მისი შესრულების უკუგება. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ამხანაგობის ანგარიშზე თანხა არ არსებობს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ამხანაგობის ერთ-ერთმა წევრმა, ა. ო.-მ, დ. მ.-ს კუთვნილი 15 500 აშშ დოლარი მიითვისა (ტ.1, ს.ფ. 41).

³ ი.კროპკოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, &714, ველი: 4, გვ.554



საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ადგილი აქვს ამხანაგობის წევრებს შორის სამართალურთიერთობას. შესაბამისად, მათი პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ განისაზღვრება მათი წილის შესაბამისად. წილის შესაბამისი პასუხისმგებლობა კი ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში გულისხმობს წილის ბრალეულობაში. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, დ. მ.-მ, როგორც ამხანაგობის წევრმა, ამხანაგობაში შენატანი ვერ დაიბრუნა იმის, გამო, რომ დადგენილია ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის ბრალეული მოქმედება, რაც მითითებული თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში მდგომარეობს. შესაბამისად, ამხანაგობის შიდა ურთიერთობებში დ. მ.-სათვის თანხის დაბრუნებაზე ვალდებული სუბიექტი ამხანაგობის ის წევრია, რომელმაც მასზე დაკისრებული ვალდებულება არ შეასრულა, უფრო მეტიც, ამხანაგობის ანგარიშზე არსებული თანხები მიითვისა.

(ბ) გარდა ზემოაღნიშნული სამართლებრივი დასაბუთებისა, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, თ. ლ.-ს სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა დაასაბუთოს კიდევ ერთ სამართლებრივ პოზიციაზე დაყრდნობით. საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებაში, კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში მითითებულია, რომ ამხანაგობა „ქ.“ იმთავითვე ფიქტიურად შეიქმნა. მართალია, ამავე მტკიცებულებით არ დასტურდება თ. ლ.-ს მონაწილეობის მოჩვენებითობა, თუმცა, მხოლოდ მისი ნამდვილი ნება ერთობლივი საქმიანობის წარმოების თაობაზე, აღნიშნული გარიგების „ფიქტიურ ხასიათზე“ ზეგავლენას არ ახდენს და მითითებულ გარიგებას ნამდვილად არ აქცევს (ტ1, ს.გ. 39-64). შესაბამისად, სახეზეა ე.წ. „ფიქტიური ამხანაგობა“⁴, რაც იმას ნიშნავს, რომ ამხანაგობა, იმთავითვე არ არსებობდა, ხოლო მისი სახელით მოქმედი წარმომადგენელი, ა. ო., არარსებულ სუბიექტს წარმოადგენდა. „ფიქტიური ამხანაგობის“ შემთხვევაში არ არსებობს ერთობლივი საქმიანობის მიზანი და გარიგება მოჩვენებით ხასიათს ატარებს, ან დასახული მიზანი იმთავითვე მართლსაწინააღმდეგოა. მაგალითისათვის, საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილ განაჩენში მითითებულია, რომ „2007 წელს ა. ო.-მ, გამოძიებისათვის ამ ეტაპზე დაუდგენელ პირთან ერთად განიზრახა ფიქტიურად შეექმნა სამშენებლო კომპანია და მშენებარე კორპუსში საცხოვრებელი ფართების შეძენის მსურველ მოქალაქეთა ნდობის ბოროტად გამოყენებით თაღლითურად დაუფლებოდა მათ კუთვნილ თანხებს“. ამდენად, აღნიშნული ამხანაგობის მიზანი იმთავითვე მართლსაწინააღმდეგო იყო. მართლსაწინააღმდეგო მიზნით დადებული გარიგება კი უცილოდ ბათილია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის მიხედვით, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. ამდენად, მართლსაწინააღმდეგობის საფუძვლით უცილოდ დადებული გარიგების ფარგლებში გადაცემული თანხა უკან გამოთხოვას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის კონტექსტში იმ პირისაგან ექვემდებარება, ვინც აღნიშნული თანხა, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე,

⁴ ი.კროპკოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, &705, ველი: 7, გვ.551



მიიღო. თუ მიმღები, ამავდროულად, „ფიქტიური ამხანაგობის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირიცაა, ასეთ შემთხვევაში, მისგან თანხის გამოთხოვა სხვა სამართლებრივი საფუძვლითაც შესაძლებელია, კერძოდ, „ფიქტიური ამხანაგობის“ სახელით მოქმედმა სუბიექტმა უნდა დაიცვას „უფლებამოსილების არსებობის პრეზუმფციის“ ზოგადი პრინციპი და პირადად უნდა აგოს პასუხი არარსებული ამხანაგობის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისათვის⁵. მითითებული დასკვნა შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 113-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესს, რომლის მიხედვითაც, თუ პირი, რომელიც დებს ხელშეკრულებას, როგორც წარმომადგენელი, თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ვერ დაადასტურებს, ვალდებულია მეორე მხარის სურვილით ან შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ან აანაზღაუროს ზიანი, თუკი წარმოდგენილი პირი ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემას უარყოფს. შესაბამისად, არც წარმოდგენილ სამართლებრივ მოტივაციაზე დაყრდნობით არ შეიძლება მივიჩნიოთ თ. ლ. „ფიქტიური ამხანაგობის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებებისათვის პასუხისმგებელ სუბიექტად.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატის შემადგენლობის წევრთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ თ. ლ.-ს სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს. უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება და დ. მ.-ს სარჩელი ბმა „ქ.-ს“ წევრ თ. ლ.-ს მიმართ არ უნდა დაკმაყოფილდეს. საპროცესო-სამართლებრივად, პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თ. ლ.-ს მტკიცების საგანში შედიოდა ფაქტი მასზედ, რომ იგი, როგორც ამხანაგობის ის წევრი, რომელსაც თანხა არ მიუთვისებია, დ. მ.-ს წინაშე პასუხისმგებელი არ იყო (იხ. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები). შესაბამისად, პალატა ხელმძღვანელობს რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე და 368-ე მუხლებით, მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატა მოკლებულია პროცესუალურ შესაძლებლობას გასაჩივრებული გადაწყვეტილება გააუქმოს სრულად, მათ შორის, იმ მოპასუხეების მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების ნაწილში, რომელთაც გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებიათ. შესაბამისად, აღნიშნული აპელაციის ფარგლებში, პალატის შემადგენლობის წევრთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს თ. ლ.-ს, როგორც ამხანაგობის წევრის, პასუხისმგებლობის წინაპირობები ამავე ამხანაგობის წევრ დ. მ.-ს მიმართ.

6. საპროცესო ხარჯები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. განსახილველ შემთხვევაში, თ. ლ.-ს წარმომადგენელმა, დ. ლ.-მ უარი განაცხადა საპროცესო ხარჯის დ. მ.-სათვის დაკისრებაზე (იხ. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 დეკემბრის სხდომის ოქმი).

⁵ BGH NJW, 2011, 66 იხ. ი.კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, &705, ველი: 7, გვ.551



სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის შემადგენლობის წევრთა
უმრავლესობამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. თ. ლ.-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება თ. ლ.-სათვის დ. მ.-ს სასარგებლოდ 15 500 აშშ დოლარისა და სახელმწიფო ბაჟის სახით, 812 ლარის დაკისრების ნაწილში;
3. დ. მ.-ს სარჩელი ზმა „ქ.-ს“ წევრ თ. ლ.-ს მიმართ არ დაკმაყოფილდეს;
4. თ. ლ.-ს მიერ გადახდილი ბაჟის ანაზღაურება, 976 ლარის ოდენობით, დ. მ.-ს არ დაეკისროს;
5. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 2 ივლისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას მოპასუხე თ. ლ.-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, მდებარე: თბილისი, ჩ.-ს ქ.NXX, ბინა NXX, საკადასტრო კოდი: N01.10.17.023.XXX.XX.XX.XXX და ქობულეთი, რ.-ს ქ.NXX, საკადასტრო კოდი: N20.42.XX.XXX
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მისი სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით;
7. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია;

თავმჯდომარე

ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები

ნატალია ნაზლაძე

გოდერძი გიორგიშვილი



განსხვავებული აზრი

მიმაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო: საკმის მასალებით დადგენილია შემდეგი გარემოებები:

2007 წლის 11 სექტემბერს დაფუძნდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ქ“. ხელშეკრულების შესაბამისად, ამხანაგობის დამფუძნებლები არიან: ბ. ჯ., ა. ო., მ. ა., თ. ლ.

ამხანაგობის დაფუძნების მიზანს წარმოადგენდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება.

ამხანაგობის წევრთა შენატანების მიხედვით, ამხანაგობაში მათი წილები განისაზღვრა შემდეგნაირად: ბ. ჯ. - 24.5%, ა. ო. - 25.5%, მ. ა. - 24.5%, თ. ლ. - 25.5%.

ხელშეკრულების 3.4 პუნქტის შესაბამისად, ამხანაგობის მართვის ორგანოებია: ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება, გამგეობა, გამგეობის თავმჯდომარე.

ხელშეკრულების 5.4 პუნქტის შესაბამისად, გამგეობის თავმჯდომარე უფლებამოსილია წარმოადგინოს ამხანაგობა ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობაში.

2007 წლის 22 ნოემბერს, ერთი მხრივ, ბ. ჯ.-სა და, მეორე მხრივ, შ. გ.-ს შორის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო, რომლის მიხედვითაც, ბ. ჯ.-მ შ. გ.-ზე გაასხვისა მისი კუთვნილი წილი ამხანაგობაში.

2007 წლის 17 დეკემბერს, ერთი მხრივ, ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ქ.-სა“ და, მეორე მხრივ, დ. მ.-ს შორის უფლების გადაცემისა და ფართის გამოყოფის შესახებ #4 ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც, ამხანაგობამ იკისრა ვალდებულება მოსარჩელისათვის, 2010 წლის 1 იანვარმდე, საკუთრებაში გადაეცა ქ.თბილისში, ბ.-ს ქ.#XX-ში ასაშენებელ მრავალსართულიან სახლში მე-5 სართულზე 91 კვ.მ საცხოვრებელი ბინა.

2007 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულების ანალიზის საფუძველზე, მიმაჩნია, რომ ამხანაგობასა და დ. მ.-ს შორის არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობა. მითითებული ნორმის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს თავის მიერ შეძენილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე. თუ დამზადებულია გვაროვნული ნივთი, მაშინ გამოიყენება ნასყიდობის წესები.

სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის შესაბამისად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად.

931-ე მუხლის შესაბამისად, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს წერილობით ან ზეპირად. თუ ხელშეკრულება დადებულია წერილობით, მაშინ იგი უნდა შეიცავდეს: ა. მონაწილეთა დასახელებასა და მისამართს; ბ. მონაცემებს ერთობლივი



საქმიანობის სახეობისა და მიზნის შესახებ; გ. მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს; დ. მართვის ორგანოთა სტრუქტურასა და ფუნქციებს; ე. მონაწილეთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების წესსა და პირობებს; ვ. ხელშეკრულებიდან გასვლის წესს; ზ. საქმიანობის ხანგრძლივობას; თ. ხელშეკრულების მოშლისა და დარღვენილი ქონების განაწილების წესს.

932.1 მუხლის შესაბამისად, მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები. თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული შესატანის ოდენობა, თითოეული მონაწილე მოვალეა შეიტანოს იგი თანაბრად. შესატანი შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც ქონებით, ასევე მომსახურების გაწევით.

934.3. მუხლის შესაბამისად, თუ ხელშეკრულებით ამხანაგობის საქმეების გაძღოლა დაკისრებული აქვს ერთერთ მონაწილეს, საეჭვოობისას ის წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგებები ნამდვილია.

935.1 მუხლის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შემოსავლები მონაწილეებს შორის ნაწილდება მათი წილის შესაბამისად.

ამხანაგობის ხელშეკრულება წარმოადგენს ორი ან მეტი პირის შეთანხმებას, რომლის მონაწილეები ისახავენ ერთიან (საერთო) მიზანს; ასრულებენ მოქმედებებს, რომლებიც სავალდებულოა მის მისაღწევად; შენატანების საფუძველზე ქმნიან ქონებას, რაც მათი საერთო წილობრივი საკუთრებაა; ერთობლივად კისრულობენ საერთო საქმიდან წარმოშობილი ზიანისა და ხარჯების განაწილებას; ინაწილებენ მიღებულ შედეგებს. ამხანაგობის ხელშეკრულება წარმოადგენს მისი წევრების ნებაყოფლობით გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე.

ამხანაგობის მონაწილეებს გააჩნიათ ერთიანი მიზანი, რისთვისაც ისინი ახორციელებენ ერთობლივ საქმიანობას, რომლის პროცესში მათ გააჩნიათ ურთიერთშეთანხმებით განაწილებული (შიდა სახელშეკრულებო) უფლებები და მოვალეობები, რომელთა შესრულების შედეგად, ანუ მონაწილეთა მიერ წარმოებული საქმიანობის სანაცვლოდ ხდება დასახული მიზნის მიღწევა.

ერთობლივ საქმიანობაში (ამხანაგობა) მონაწილეთა მიერ შესატანის შეტანა ქმნის ამხანაგობის წინაშე დასახული საერთო მიზნის მიღწევის მატერიალურ წინაპირობას და აქვს მთავარი მნიშვნელობა. მონაწილის შენატანი შეიძლება მდგომარეობდეს, აგრეთვე, მომსახურების გაწევაში. შენატანის სახით მომსახურების გაწევა შეიძლება მდგომარეობდეს როგორც ამხანაგობის განკარგულებაში პირადი შრომის გადაცემაში, ასევე რომელიმე სახის ცალკეულ მომსახურებაში.

საქმეში წარმოდგენილი ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ქ.-ს“ დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების შინაარსის ანალიზად გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ გარიგების მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის შესაბამისად, საერთო მეურნეობის შექმნა. წარმოდგენილი ხელშეკრულებით მონაწილეებმა განსაზღვრეს გარკვეული უფლებები და მოვალეობები, მათ შორის შენატანის შეტანის ვალდებულება, მიღებული შემოსავლიდან წილის მიღების უფლება, და ა.შ.

ხელშეკრულების მონაწილეებს შეუძლიათ განსაზღვრონ მათი წილები მიღებული შემოსავლიდან. წილები შესაძლებელია იყოს მათ მიერ განხორციელებული შენატანების



პროპორციული ან სხვაგვარი შეთანხმებით მოხდეს მათი განსაზღვრა. მოცემულ შემთხვევაში, სადამფუძნებლო ხელშეკრულებით განისაზღვრა თითოეულის წილი ამხანაგობაში.

ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულება მესამე პირებისათვის ქმნის პრეზუმფიას იმის შესახებ, რომ ის გარიგებაში შედის ფიზიკურ პირთა გაერთიანებასთან. თუ სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეებმა გადაწყვიტეს გაერთიანდნენ საერთო მიზნის მისაღწევად და ერთ-ერთ მათგანს უფლება აქვს იმოქმედოს ყველას სახელით, მაშინ გარიგებებზე უფლებებსაც და მოვალეობებსაც იძენს ყველა მონაწილე. ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებით მოვალეობების განაწილების წესის განსაზღვრა პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით, წარმოადგენს მონაწილეთა საშინაო საქმეებს. ამ დროს მესამე პირებს (მონაწილეების კრედიტორები) უფლება აქვთ მოთხოვნები წაუყენონ ამხანაგობას, ანუ მის ყველა წევრს ერთად ან რომელიმე ერთ-ერთ გადახდისუნარიან მონაწილეს და მათგან მოითხოვონ ვალდებულების სრულად შესრულება.

სამოქალაქო კოდექსის 937.1 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად.

ნატალია ნაზლაიძე